პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 16

2014 წ. "29" 08

ქ.თბილისი

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით.
2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ბლექსის“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №5 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ინფორმაციული ტექნოლოგი	III	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
2	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	III	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი	III	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	მეფილე-მომპირკეთებელი	III	მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
5	ელექტრიკოსი	III	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6	ავტომობილის სავალი ნაწილის ტექნიკოსი	III	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
7	ავტომობილის ძრავის შემკეთებელი	III	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

8	ავტომობილის ზეინკალი	III	ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვლიფიკაცია	60
9	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	III	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
10	საკერავი მანქანების ოპერატორი	III	საკერავი მანქანების ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
11	სასტუმრო საქმისმწარმოებელი	III	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
12	სარესტორნო საქმისმწარმოებელი	III	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
13	მზარეული	II	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
14	ბარმენი	III	ბარმენის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
15	გიდი	III	გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია /ადგილობრივი გიდი/	60
16	ბუღალტერი	III	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია /ბუღალტერ-	45

			მოანგარიშე/	
17	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	III	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
18	კბილის ტექნიკოსი	III	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
19	მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი	III	მცენარეთა დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
20	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	III	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

მილევად რეჟიმში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ინფორმაციული ტექნოლოგი	III	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60